

Handwritten signature in red ink.



ახსოვს ბაკვეთილი

12 553



რომის პაპი: — რაღას უცდი, რად არ იწუებ?
მილიტარისტი: — მეშინია, ვაი თუ ასეთივე პასუხი მივიღო, როგორც აღმ. ჩინეთს რკ. გზებზე.

ვატიკანის საიდუილოებანი

ვატიკანის „სამეფოში“ ტრადიციული მუხურობა აღარ სუფევდა. რომის პაპა პის (ანუ ვატიკანის უგვირგვინო მეფეს) მეკამბე წე-ლია, რაც სულიერი სიწმიდე დაე-კარგა. უძილობა დასმენდა, დილაო-ბით ცულ გუნებაზე დგებოდა, ნერ-ვიულობდა, რის გამო მისი სასახლის მსახურნი შიშისაგან ცახცახებდნენ.

ბურჯუაზიული გაზეტებიც მწუ-ხარებით აღნიშნავენ პაპის „უბა-სიათობას“ და მიზეზათ ოქტომბრის რევოლუციის და საბჭოთა ქვეყნის არსებობას ასახელებდნენ.

ერთ საღამოს, როცა პაპი პი მე-**XI** ვატიკანის ბაღში მდინარი ტა-ბერის ნაპირად, განცხრომას ეწეოდა ვურტიზან ქალებთან, მას ზეციდან ჩამოესმა პეტრე მოციქულის ხმა: (ასე უამბია პის კარდინალებისათვის):

— წმინდა პის, ბრძანებელი ვა-ტიკანისა. აღმოვითებული ვართ ზე-ციერნი ბოლშევიკების მიერ სამ-ფლობელოსა თქვენისა წაბლწვის გამო. წყველ იყონ ისინი ამიერიდან უკუნისამდე. დანგრეულ და გაკამ-მტვერებულ იქნას საბჭოთა ქვეყანა და აღდგენილ იქნას თვითმპრო-ბელობა მიკოლონასა, შენ კი უწ-მიბოლო (თუ უწმინდურესო, ასით-

ამწყობი). პი, დადგენილებათა ზე-ცაურ წმინდათა საბჭოის მამა დმე-რთის თავმჯდომარეობით, განუსა-ზღვრულ - უფლებებით ხართ აღქუ-რვილნი ბოლშევიკებთან ბრძოლი-სათვის. გამოყენებულ იქნას ყველა საშუალებები ბურჯუაზიულ ქვეყნე-ბის, ვინც წინ აღვიდგეს ჩვენი წყვე-ლა არ მოაკლდეს მათ. ღვთიური საღამით, პეტრე მოციქული.

იმ დღიდანვე პაპ პი ამზადებდა ომს საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. ერთი რამ აწუხებდა მას მარტო წყვეა-კრულვით, ჯვარებით და ხა-ტებით წითელ არმიას ვერაფერს დააკლებდა. ამიტომ მას თავის შავი ზრახვებისათვის ბურჯუაზიული ქვე-ყნების შეიარაღებული ძალები უნ-და გამოეყენებებია.

— ომი საბჭოთა ქვეყანას! — უბრ-ძანა მან ბურჯუაზიულ სახელმწი-ფოებს ოქტომბრის რევოლუციის წლის თავზე.

— არ შეგვიძლია სულიერი მეუ-ფე! დავმარცხდებით! იფეთქებს რე-ვოლუცია ჩვენს ქვეყნებში! იყო საერთო პასუხი მსოფლიო ბურჯუა-ზიის.

— ომი საბჭოთა ქვეყანას! მეორ-დებოდა ბრძანება პაპის ყოველ წელს.

ბურჯუაზიული სახელმწიფოების პასუხიც ერთი და იგივე იყო:

— ჩვენ გვინდა ომი. ვემზადებით ომისათვის. ჯერ კი ვერ შევძლებთ, დავმარცხდებით!

პაპა პი ვერ ურიგდებოდა საბჭო-თა ქვეყნის არსებობას. ნერვიულობ-და. კარდინალებს უჯავრდებოდა. ერთ დღეს, როცა პი ღრმა ფიქრე-ბში იყო გართული, კარდინალმა მას სასიხარულო ამბავი ამცნო.

— მეფეო ჩვენი, აღსრულდა ნება თქვენი, ბოლშევიკებში განხეთქი-ლება მოხდა.

სიხარულით აღვზნებულნი პი კარდინალს გადაეხვი.

იმ დღეს პაპის სასახლეში ორგია იყო და პი ფოქსტროტის თამაშით ირთობდა თავს...

პაპის იმედი მინც არ გამართლ-და. ბოლშევიკების პარტია მიმარ-ჯუნენ და მემარცხენე გადახრებთან ბრძოლებში უფრო განმტკიცდა.

— ომი ჯვაროსნული! — გაისმა პის ხრინწიანი ხმა და ბურჯუაზიუ-ლი სამყარო შმორათ გადაიქცა.

— ჯვაროსნულ ომს მსოფლიო სამოქალაქო ომით ვუპასუხებთ, — გაისმა მსოფლიო მუშათა კლასის ძლიერი ხმა.

პაპი პი მე-**XI** ქულაზე შეიშალა. ყუმბარა.

შეცდომის განაწილება

აქვე მოთავსებული ტექსტი შუა ნაწილია იმ წერი-ლისა, რომელიც დაბეჭდილია „ტარტაროზი“-ს ვასულ ნომერში შესამე გვერდზე (იხ. „ცამეტი--კვიმატი“ ს. თ-ია). ეს ტექსტი პირველი სვეტის გაგრძელებაა.

ცამეტი--კვიმატი

მსურდა, შევხებრის შედეგი რომ ეს უოფილიყო... ჩემი მხრით კი მათ ვეფიცებოდი: ყოველნაირათ მე ვეცდებოდი, შევხებრების შესრულებას სრულებით.

და მართლაც, მე შევასრულე ფიცი პირნათლათ. გამოდგენილ კულაკებსაც კი, — რომლებსაც სრულებით არ ვეტრფი, — ვღებულობდი ისე თავაზიანათ, რომ მიუხედავად იმისა თითქოს კმაყოფილი რჩებოდენ, როცა მე გამშორდებოდენ...

მაგრამ კოლპერაციის მუშაებისაგან, დაწყებული გუშაგებისაგან, და გათავებული ნოქრით, თუ გამგეობის წევრით, (უცვლადფერი არა, მაგრამ ფფრო ბევრით).

სიკეთე არა გამოვიდა, თუმცა საკმაო დრო კი გავიდა. იგივე არის დღეს მითქმა-მოთქმა, (მელოტაცე უალეზე აუდგება თმა!), მუშტრისადმი იგივე მოაპრობა, დახლის ქვეშ ჩუმათ ფართლის შეწყობა... ნოქარს რომ ათასჯერ შეეკითხო,

ამა თუ იმ საქონლის ფასი ჰკითხო, ერთხელ ვერ მიიღებ იმისგან პასუხს, სახეზე კი აზის გამომეტყველება ბოროტი რამ აზრის. ამიტომაც ხდება, წინ მოტანილი საქონელი—უკანდან ჰქრება! ცოტა ხნის შემდეგ, კერძო ვაქართან თუ შედით... ს. თ.—ია *).

* ს. თ.—იას.

გქონდა თათბირი: „ეს შეცდომა ვიხი ბრალია? ავტორი ს. თ.—ია „ტარტაროზზე“ მეტად მწყურალი“. გამოვიცვლიეთ. ენახეთ თქვენი ორიგინალი, და გაეყავით ამნაირად ჩვენ ყველამ ბრალი: დამნაშავეა აქ ავტორი და კორექტორი.

შშრალად ვერ გაძვრენ ვერც მდივანი და რედაქტორი. ავტორი მიტომ—რომ ცალ გვერდზე მან არ დასწერა, (რომ ამ ბრალდებას თქვენ მიიღებთ ვიცით და გვეჯერა). რედაქტორს უნდა აღენიშნა: „მეორე გვერდზე“, და არ გაეშეა უშენიშნოდ ეს ალაღ-ბედზე. მდივანსაც უნდა შეემჩნია ესე ამბავი.


თუ გაეგზავნა შემდეგ ტექსტი დაასტამბავი. კორექტორს ტექსტი თვით დედანში უნდა ენახა და არ დაეღო სწორების დროს მთქნარებით ხახა. გაეანაწილეთ ამნაირად ჩვენ ეს ბრალდება, რადგან შეცდომა სათითაოდ ყველას ვგზრალდება. და ამნაირად ეს შეცდომა არს ყველას ბრალი, და „ტარტაროზზე“ ნუ დარჩებით, ს. თ.—ია, მწყურალი. ტარტაროზი.

ოი, წმინდაო...

(არღნის ხმაყმ)

პი-ი... პუ-უ... პაპი რომის
 მოსურნეა ჩვენთან ომის!
 აბრიალებს რისხვით თვალებს,
 და უხმო რა კარდინალებს,
 დაავალა ყველას ლოცვა:
 ესეხერელთ ამოხოცვა
 და წყევლით და გადაცემით,
 და მჯიღების მკერდში ცემით
 საკურთხეველის წინ დაჩოქილს
 ლამის გასძვრეს წყევლით ქოქი...
 ისტორია თვალს მიწყალებს,
 „ცრუ—სიდორეს“ დეკრეტალებს
 რომ ვიგონებ, პაპის შეთხზულს;
 თუ რეიმის კრებას, შეთქმულს,
 მწვალებელთ რომ ბრძანა აღგვა:
 გახურებულ შანთით დაღვა!
 ანუ წმინდა ლიუდოვგის,
 მის ბრძანებას. შავ-ბნელ დროის,
 მწვალებელსა დაწვით დასჯის
 ბნელი ლაქა ახლაც აზის!
 ისტორია ვერ აშორებს...
 აღარ შერჩათ მათ ავტორებს,
 არც სინდისი, არც ნამუსი:
 დასწვეს იოანე ჰუსი,
 და ჰუსი კი აღსდგა გმირად,
 თავს დაატყდა მათვე ჭირად!..
 მათ ჯორდანოც, დასწვეს, ბრუნო,
 მაგრამ დრომ კი შეაბრუნა
 ისტორიის ზომა-წონა:
 მწველები თვით დაიშინა,
 გააშავა, გააფასა,
 ძლევის მთაზე აიყვანა,
 და დიდების შუქით ჰბანა!..
 მათთვე დასწვეს კამბანელა,
 ამან ხომ მთლად დაბანელა
 პაპის ტახტის ელვარება!..
 ის შავს ჯვალათს ედარება,
 ვინც რომ დასწვა პალილეი,
 ბევრად უფრო შავი დღეი
 დააყენა ამან დამწველს,
 ვითომ ქრისტეს მცნების დამ-
 ცველს,
 ნამდივლად კი „ღმერთს“ ტყავს
 ხდიდენ:

ოცდაათჯერ დღეში ჰყიდდენ,
 თითოულ ჯერ—თითო ვერცხლათ.
 ნუ თუ კიდევ აღარ შერცხვით?
 ვით-ღა სირავენ კიდევ ხმასაც,
 როს გაუსწრეს იუდასაც
 სამარცხვინო ამ საქმეში?
 მაგრამ იგრძნობს ამას ლეში
 დამთხვეული რომის პაპის?
 მაღლმა მისი „თავის ხაპის“,
 ძლევა ჰქონდეს იმის ლოცვას!..
 ესეხერელთ ამოხოცვას,
 აღრეც ბევრი შენატრიდა,
 ბნელი ხალხის სისხლს რომ
 ღვრიდა.
 აზოვის თუ კასპის ველზე!
 ხმლება, ერტყათ, რალა, წელზე
 და სკიპტრაზეც ოცნებობდენ,
 ოი, წმინდაო უმანკობავ!



ფაშიზმის კოზირი

შემდეგ ზღვის გზით რომ გარბოდნ
 ქულ-მოშვლებით თავშიშველი,
 ვით კურდღელი ანუ შველი. . .
 პი-ი... პუ-უ.. დივტი...დავტი:::
 ჩაახალეთ მაგ მკვდრებს თავში
 მკვდარი კატა, სადმე თუა,
 სულ დაპკარგეს აზრი, ქკუა
 ქსენძებმა და რაბინებმა:
 რა წყევლა თუ რა გინება
 დაანთხია პირმა მათმა,
 სინციტმა თუ რობინატმა...
 ეს კენტერზის არქიელიც
 რომ აღარ გეყავს მაღლიერიც?!.
 ისიც ამ ხალხს მიეკელა,
 მანაც ჩვენთვის წველა შესთხა,
 და ამ რიგათ ეს კონცერტი

არც ნაკლები და არც მეტი,
 ტურა—ფოცხვერთ შეპავეს
 ჩხავილმა...
 აპყვა ხალხის ენის ქვილს,
 ზუოგის ფხანაც რომ არ სჭირდემ!
 ან სასმენად მაინც ღირდეს...
 პი-ი... პუ-უ... მეც მათ ვყვები
 და მუსიკით ვერც კი ვაღებო...
 პი-ი... პუ-უ... პიტა... პულტა:::
 თუ გულდა არ დემწულტა,
 ვანა, ჩემი? რომის პაპის,
 მაღლმა მისი თავის ხაპის!
 პი-ი... პუ-ი... პიტა... პიტა:::
 ოი, „სანკტა სიმპლიციტა“!..
 პუ-უ-უ-უ-უ...
 იონისიმე.

წერილი რომის პაპასთან

...ისინი ცრუობდნ და გაიძვრობდნ, აწყობდნ
ჯვაროსნულ ლაშქრობას და სავაქრო ავაზაკურ ექს-
პედიციებს, ხაიდანაც შემოიტანეს ადგილობრივ ერთა
ხიძულვლილი და სიშლინი, რომლითაც დაღვა
თხვით პაპაბის რამოდენიმე თაობა.


აშხ. ზუხარინის წერილი

ვკანდნიერდები „წმინდა მეუფის“,
და თუნდ გამიციხე. დამარქვი ხელი,
შაინც გიგზავნი, ურჩი, ამ ბარათს, —
მე — „ტარტაროზის“ საკუთარ ხელით.
ჯერ მოგიკითხო მინდა შორიდან
„პეტკას“ მემკვიდრე, მისი ნაცვალი,
როგორ ბრძანდები, მამაო პიი,
როგორ გადგია ტანზე საცვალი?



მე მართებულად ვახსენებ საცვალს: —
როცა აჩრდილი კომუნის დადის,
ზევრის საცვალი შიშისგან ხშირად,
წელიდან დაბლა, კოკებში ჩადის.
შენს ჯანმრთელობის შესახებ ცნობებს
ჭვირად ლებულობს საბჭოთ ქვეყანა.
და შენზე „დარდით“ რომ „გვიკლავ“ გულუმს
დესა შეგებო, „წმინდანო“ განა?
შარშან ვაზეთში ამოვიკითხე
ტელეგრაფა თუ რადიო-ცნობა
„რაღმე“ ვაგვადე ვაზეთი ხელში
და „ჯავრით“ ლამის „დავკარგე“ გრძნობა,
გავიგე იმით, რომ უცნაური
გამოგჩენია სხეულზე სენი,
„წმინდან“ ქალებს ხვეწნაში ხურდათ
უბრუნებს იმ სენს აშკით „გამჩენი“.
შენი ლოცვები, როგორც იობის,
ცას შეუწირავს, ნათლად სჩანს ამით,
რითი მკურნალობ ნეტავი, მითხარ,
ანიზმამთი თუ სალვარსანიო?
თუ ვატიკანში მსწრაფლ არ ვახსენით
ვენერიული თქვენ დისპანსერი.
მაშინ მერწმუნეთ, რომ არც ერთ „წმინდანს“
იღარ შერჩება თმები და წვერი,
თუმცა წვერებზე რა დროს ფიქრია,
როცა ქვეყანა ირევა სრულად,
მოსკოველ წითლებს უჯერის ხალხი
და შენს დარბაზებს უცქერის მტრულად.
სულ მთლად დაეცა ხალხის ზნეობა
დამკარგეს შენი პატივისცემა
და სასწაული კი მაღალ ციდან
დაავგიანა იმითთვის ძემა.
ბარათებს „ცოდვის მისატოვებელს“
იღარ უიღულოებს, ვით ძველად, ხალხი
და ვატიკანის „დახოდმატ“ იკლო,
დაცარიელდა იმითომ დახლი.
ქორწილ-ქეღებმაც მოიკლო ყველგან,
ჩუმად მარხავენ, ჩუმად კვდებიან,
ნათვლაც ისპობა, რადგან ბავშვები
დღეს იშვიათად იბადებიან,


სულ სხვა დრო იყო წარსულში, წინად
ქორწილ-ქეღები ხშირად ხდებოდა,
და თვით ბავშვების შექმნაში პაპი
ერის კაცს არც კი ჩამორჩებოდა.
ერთი თქვენგანი ამ მიზნით კიდეც
დაუკავშირდა საკუთარ ქალსა: —
საქუთარ ბსულს, არ ეთხელ ნახეს
როს „წმინდანურად“ იხილდა ვალსა.
მეორემ პირველს კიდეც აჯობა
(რამდენ სასწაულს მოესწრო რომში!) —
ეს მოხდა მაშინ, როს პაპის მიერ
ჯვაროსანების დაიწყო ომი
როდესაც პაპა ქრისტეს რაინდებს,
მიაცილებდა რომში ქუჩაზე,
პაპას მუცელი ეტყინა უცემბ,
და გადავარდა ცხენიდან წამზე.
სურათი იყო ვასაკვირები:
პაპას — მამაკაცს, — მუცელი სტიკივა,
ქუჩის ნაპირზე გდია ფეხმძიმე
და საცოდავთ ჰკივა და ჰკივა.
შემოხვევიან მოქალაქენი,
უცებ შეიქნა ჩოჩქოლი ხალხში.
მათ სასწაული ნახეს უცნობი:



პაპას მუხაში ეყოლა ბავში.
ხალხს მამაკაცად, რომ მოველინა
ის პაპა იყო თუ რომელ სქესის,
ან ვითარ იყო „უმანკო“ იგი,
ეს „ტარტაროზის“ მკითხველსაც ესმის.
და მე კი იმას აღვნიშნავ მხოლოდ,
რომ ამრავლებდნ პაპებიც ძველი
„სასწაულების“ სჯეროდა ხალხსა;
სცხოვრობდნ „უფლის მცნებათა მცველი“
თვითონ პაპები აძლევდით ყველას
„სათნოების და რწმენის“ მაგალითს,
დღეს კი იარაღს, რომ აჩხრიალებ
რას გამოჩენი ნეტავი ამით?
ან და მუქარით ვის შეაშინებ
„პეტკას“ მემკვიდრე, მისი ნაცვალი?
ხელი მოუკი მამაო პიი,
არ ჩავივარდეს ტანზე საცვალი; —
თორემ მუშები ურჩი ხალხია,
უკვე კომუნის აჩრდილი დადის
და მის შიშისგან საცვალი ზევრის
წელიდან დაბლა, — კოკებში ჩადის.

„ასი პროცენტით“

სოფლად კოლექტივების მოწყობა ზოგიერთმა ამაზნაგებმა დამახინჯებულად გაიგეს:—სბოიანი ძროხებიც კი ასწერეს კოლექტივებში შესაყვანად.



ბლზნი: (ბეითალს):— აბა, ექიმო, ჩქარა გაუკეთე ამ ჩემს მაკე ძროხას აბორტი, თორემ თუ ხბო მოივო, კოლექტივში წაიყვანებენ.

„მოსსენება“

— ამაზნაგებო, — დაიწყო თემსაბჭოს თავმჯდომარემ, — მე რომ ბერს ვმუშაობდი; ამაში ეჭვი არავის შეეპარება, რადგან აღმასკომში იშვიათად თუ მნახავდით; სულ ცხენზე ვიჯექი და დავდიოდი სოფლის სხვადასხვა კუთხეებში. ისე შევისწავლე ამ სოფლის გლეხობა, რომ ერთი კაციც არ შეგულედა, რომლის სახლშიდაც პირადად არ ვყოფილიყავი და პურმარილზე არ გამომერკვიოს მისი მღვთმარეობა. წელს გაცნობას მოუნდი და გაისად, თუ თქვენის წყალობით ისევ მე ვიქენი თავმჯდომარედ, ენერგიულ მუშაობას დადიწყებ.

განსაკუთრებით დიდი შედეგი გვაქვს სოც. შეჯიბრში, თუმცა ამ სოფელში არა, მაგრამ ეს სულერთია

(ჩვენ კუთხური თვალსაზრისი არ გვახასიათებს).

როგორც იცით, ჩვენ გამოვიწვეეთ მეზობელი სოფელი, რომელმაც ჩვენ გამოაწვევას კიდევ დაუმბატა. ასე, რომ ძვენდა სასიხარულოდ მათ ყველაფერი შეასრულეს და დიდი მიღწევებიც აქვთ. ეს მიღწევები კი ჩვენ მიგვეწერება. ჩვენ რომ არ გამოგვეწვია შეჯიბრში, ისინიც არაფერს გააკეთებდნენ. ეს ერთი მომენტი აუცილებლად ჩვენი მუშაობის დამახასიათებელია.

მთავარი რაც არის, ეს არის თესვის კამპანია და კოლექტივიზაცია. ვამიჭირდა საქმე, კაცო, ამ თესვის კამპანიამ. წელიწადში ორჯერ მომლის თესვის კამპანიის ჩატარების გეგმა. შემოდგომის თესვის კამპანია ორი კვირის წინ მოთავდა. ასე მალე არც კი დაავიწყდებოდათ გლებებს

ჩემი მოხსენება და რა საქირია, გაზაფხულის თესვის კამპანია?

ხელი შეუწყობთ კოლექტივიზაციასო. კი შეუწყობთ ხელი, მარა იმათაც უნდა შემოიწყონ ხელი, გუშინწინ თავისი კარგი ცხენი არ დათხოვეს — აგრონომისათვის გვეჭირდებო, მინდოდა გამეგო—გამოაღვება თუ არა ის ცხენი კოლექტივის.

„ხელმა ხელი დაბანა, ორივემ კი პირიო“—ეს არ იციან და მაგენი კოლექტივის შექმნიან?

—
იღმასკომის თავმჯდომარე ეხლა „ისვენებს“ და საყვედურობს: „ასე იციან პატროსანი მუშაკის დაფასება. დამსვენეს გაჭინილ ნიჩაღზე და სანაგვეში გადაამაგდეს“.

ძგმუნტი.

ახლო ხანში გამოვა „ტარტაროზი“-ს სპეციალური

ქუთაისის ნომერი

თანამშრომლებს ვთხოვთ მოგვაწოდონ მასალები

განსივრება თბილისში

უკვლავი სახელები

სახკინმრეწვემა, როგორც იქნა, ზოგიერთ თავის თეატრებს სახელწოდება გამოუცვალა. ეს კარგი საქმეა.



„უფასო ტრამვაი“

მაგრამ, თუ მას (სახკინმრეწვეს) ძალიან უყვარს რეკლამა, რატომღაც ხალხს სახელწოდებებს პეტრით აცხადებს გაზეთებში, ხოლო ძველს კი შავი (ხაზგასმული) ასოებით. (იხ. გაზეთებში განცხადება: „როზა ლიუქაშინბურგის სახელობის ყოფ. მინიონი“)

კინო-თეატრს მოკლე და სხარტული სახელწოდება უნდა ჰქონდეს და არა—სამსართულიანი (რევილიუციონერთა სახელის საპატივსაცემოთ ჩვენ სხვა საშუალებებიც მოგვეპოვება).

ქარვია ყოფილი „არფასტო“—სპარტაკი.

რიგი სხვა თეატრებზეა.

ტრამვაის ვეჯონში (მარშრუტი 3, 4, 11, 12) ყოველთვის ისმის ვორონცოვის სახელი. ძეგლი აღიეს, აღბად ყიდვც გადაადღულეს და ტრაქტორაზე აქციეს (ვინ იცის, ეგებ „ვორონცოვი“ საღმე კოლექტივის მინდერებს! აეს ცხვირით!). მის აღივლას კ. მარქსის ძეგლი უნდა დადგმოლიყო, მაგ ამ რატომღაც ამდენი ხნის განმავლობაში ტფილისელები მაინც იხსენიებენ ვორონცოვის!

თუმცა ვორონცოვის ოდენა კაცი არ იყო ზემელი, მაგრამ ამ კაცკაც უკვდავ-ყო თავისი სახელი.

მის პატარა აფთიაქის წინ წამოქიმულია ყოფ. მედიკ-ანარინანის გვე-

ბერთელა შენობა, მაგრამ ტრამვაის ვეჯონში (მარშრუტი, 1, 2, 5, 6) ყოველთვის (ისმოდა და) ისმის ზემელის სახელი.

დღეს აღარ არის „ზემელი“. ელბაქიდის დაღმართის გაფართოებამ მტვრად აქცია და მიწასთან გაასწორა „ზემელი“, მაგრამ ტფილისელები მაინც არ ივიწყებენ „ზემელს“.

ტარტაროზის წინადადება: ასეთ ადგილებსა და პუნქტებს ახალი სახელწოდება მიეცეს. (ეს იქნება ერთგარი სამისამართო ნიშანიც, როგორც არის, მაგ. მოედნები, ბაღები, გუნძრები და დიდი დაწესებულებები)

ხი—ლი.



„უფასო ავტო“

„ბრიშკი“

სენსაციები და ტრიუკები თითქმის ყოველდღე ხდება ტფილისში.


შოფერს ვერის ხილსკენ ავტომობილი მიყავდა, უცებ თავში შეუძვრა ორიგანლობის მუხა.

არც აცხელა, არც აცივა, შემოკრა ავტოს დეზები და ბარათაშვილის მერანივით გააქენა.

აღტაცებულია შოფერი ზეშთაგონების ცეცხლით. მდიან მგზავრები ვერის ხილზე და არავის არ ერიდება შოფერის მუხა. ყველას საკუთარი ფიქრი აწუხებს. მიდის სხვებთან ერთად სახკინმრეწვის სცენარისტი მორსკოვი და თავის ცოლს უყვება ახალ სცენარის შინაარს.

შოფერს არაფრად ებიტნავა მგზავრების უყურადღებობა; განსაკუთრებით მორსკოვიზე მოუვიდა გუ-

ლი. უფრო მაგრად შემოკრა დეზები ავტომერანს და პირდაპირ მორსკოვის დაუმიზნა. მიზანი ოდნავ განზე მოხვდა, რის გამო მორსკოვი გაქცელტას გადაარჩა. ახარტში შესულმა შოფერმა, ავტო მოაჯირის დაატაკა და..



და ხილიდან მტკვარში გადააქენა.

მორსკოვი მაშინ მოვიდა გონზე, როცა მტკვარში კვახივით დაეცა. გაახსენდა მეზღვაურობა (ძველი მეზღვაურია) და მოუსვა ხელები. უცებ ცოლის კივილი მოესმა წყალიდან.

მივარდა ცოლს და ცოლიანად ნაპირზე გამოსცურა.

ეხლა მორსკოვის ახალი სცენარისათვის საკმაო მასალა აქვს. უკვე დაიწყო სცენარის წერა.

მორსკოვი ამ სცენარს გადასცემს შოფერებს დასადგმელად. რეჟისორად ნიშნავს იმ შოფერს, რომელმაც მას ეს თემა მოულოდნელად უბოძა. სენსაციის ამბისთანავე ხილს მიამურეს სახკინმრეწვის ოპერატორებმა და დარჩენ ფრიად დამწუხრებულნი, როცა მორსკოვის ტრიუქს ვერ მოუსწერეს.

ნუ სწუხართ, ოპერატორებო! კიდევ ბევრჯერ მოხდება ასეთი ტრიუკები და თქვენ ყოველ შემთხვევისათვის მზად იყავით.

ცხვირგატხილი.

ტკბილი სიზმარი

(სოფ. კახათი, შუგდილის მაზრა)

დილით მივედი ქოხ-სამკითხველოში, სამკითხველო ღია იყო. აუარებელ გლეხებს მოეყარა თავი. ყველა გაზეთის კითხულობდა. ახალი გაზეთები და ჟურნალები მოვიდა. ძველი ჟურნალ-გაზეთები ღამაზად ელაგა თაროზე. გლეხები კმაყოფილი იყვნენ სამკითხველოს გამგის მუშაობით.

აქედან კოპერატივში შევედი, საშა გუგუჩია ღმობერად ეპყრობოდა გლეხებს, ჩარჩ-ვაჭრებს არ აძლევდა შაქარს და ესენიც ვეღარ ჰყიდდნენ დიდ ფასებში.

სას.-სამ. კოპერატივის გამგეს არსენ დარასელიას ჩამოეატნა სას.-სამ. მანქანები. გლეხობა კოლექტიურად იძენდა. არსენა ფხიზელი იყო, ქელხებში არ დამოფრალიყო, გლეხები მას არ დაეძებდნენ სოფელში.

სოფლად—ყველგან კომკავშირის ხელი, მისი ინიციატივობა ამასობაში დილის შვიდი საათი გამხდარიყო და საჩქაროდ გამომედიდა.

— ნიტატი ყველაფერი ასე იყოს!—გავიფიქრე და ავდექი

„ართო“.

ანკეტი

როგორც ვიცით, უკვე ჩატარდა სტუდენტების აღწერა ტფილისში. ჩვენ ხელში ჩაგვივარდა ერთი ანკეტა, შეესებოდა ერთ-ერთი სტუდენტის მიერ. ვფიქრობთ, რომ ინტერესს მოკლებული არ იქნება მისი ვაცნობა, მით უმეტეს, რომ ანკეტა დამახასიათებელია.

1. წლოვანება. — კარგად არ მახსოვს, როდის დაეიბადე; ვგონებ მაშინ უნივერსიტეტში არც ვიყავ შესული.

2. ეროვნება. — რაღა თქმა უნდა, ქართველი.

3. განათლების ცენზი. — საშუალო ხეირიანად არ დამისრულვია, რადგანც დრო აღარ მქონდა. ისე გიმნაზიის დამთავრების მოწობა მაქვს.

4. სოციალური წარმოშობა. — ვაკრეტილი მღვდლის, ახლა კი — კომპრატივის ნოქრის შვილი. ბებია ჩემი უმუშევარია. ბაბუა — შრომის უნარმოკლებული (პენსიას არ იღებს).

5. ოჯახური მდგომარეობა: ცოლიანი, უცოლო (ვაუსვით ხაზი). — ხაზს ვერ ვაუსვამ, რადგანაც არც ცოლიანი ვარ და არც უცოლო. შეყვარებული ვარ.

6. არსებობის წყარო. — რესტორანები: „სიმპატია“, „ეიზნი“ (ყოფილი „გემო“, „ორიანიტი“ და სხვები, სადაც ვინმე დამბატიყებს, ჯამაგირი არა მაქვს, რადგანაც სამსახურში ვერ მოვეწყვე.

7. კონტრაქტაციაზე ხართ აყვანილი. — აჰ, არ შეგქამოს ჭირბა. პროტექტია არ მაქვს და ისე ვინ ავიყვანს კონტრაქტაციაზე.

8. სტიპენდია გაქვთ. — მომისვენს, როგორც ნახუცვარის შვილს. სურვილი მაქვს აღვადგინო სტიპენდია და კონტრაქტაციაშიაც მოქაქდე.

9. საცხოვრებელი ბინა. — ეცხოვრობ ბიძაშვილთან, რომელიც თავისი ორი ამხანაგით შეესახლა ნათესავს. (ეს უკანასკნელი კი დროებით შეზღუდული იყო ბიძის ცოლის დისწულის დეიდსთან).

10. აკადემიური მუშაობა. — მეცადინეობა. — მიწოდდა საგნები ჩამებარებია, მაგრამ პროფესორები გადამტერებული მყავს და წინასწარ ვიცო, რომ ჩამჭრიან. ლექციებზე ვერ დავდივარ, რადგანაც უმთავრესი ლექციები არის საღამოობით, როცა მე დრო არ მაქვს (საბილიარლოში დავდივარ).

11. საზოგადოებრივი მუშაობა. — ვარ რუსთაველის პროსპექტის მტენელთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრი.

12. სტუდენტობის სტაჟი. — წლები დანამდვილებით არ მახსოვს. ვარ ვერძო სტუდენტი.

სწორია: აღმარ-აღლარსან

კავთან

ს.ო.ც.-დმმ.—შემინდ და ჭაბატ იე ცოდვანი ჩემი—უმუშევართ, დემონსტრაცია დავხვრიტე.

პაპი:—„მაგ რა შეცოდება! ეგ ზენი ხელობაა!“



„ბინო აქტიორი“

— ოო, სიკო, საიდან სადაო?

— გოსკინპროში გადავარდი, ძმაო, გოსკინპროში, სიომკები გვქონდა და სვანეთისკენ ვიყავი...

— რა გიჭირს, ბიძია რა, მე კი ვერ მოვიკიდე ამ კინოში ფეხი და...

— რა ყრბა მერე მიგ? 500 მან. მაქვს თვეში.

— შე კაცო. მეტი გინდა კიდევ რამე? მე რომ გადავყვივი მეგ კინო-არტისტობას და არაფერი გამომივიდა. აი წვერი მოუშვი, თმა გაიზარდე, მერე ისევ მოიპარე და ათასი დავიღარაბა.

— ნიჭი, ძმაო, საჭიროა, მარა არც მარტო ნიჭი კმარა. თავი და თავი არის კულტურა (ცხვირს იწმენდს სახელოთი). თუ კაცს კულტურა არა აქვს, იმას ყოველ მხრივ დაზუსული აქვს შემოქმედების კარები, დღეს კულტ. რევოლიუციის ხანაში ვიპყოფიათ.

უკებ მოიხედა და შენიშნა, რომ ვიღაც უცნობი მოქალაქე დაჟინე-

ბით აქცერდება.

უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, უკლავ განაგრძეს ლაპარაკი.

— უკაცრავად, ყმაწვილო, ერთი წუთითი აქეთ მოიწით! — მიმართა უცნობმა მოქალაქემ მილიციელის თანხლებით.

— წამოიყვანე ეს მოქალაქე კომისარიატში, — ეუბნება მილიციელს მოქალაქე.

— რაო? — გაიოცა სიკომ.

— მოქალაქე, თქვენ დაბატიბრებული ხართ!

— აი, სწორედ ეგ იყო წესელ ღამით რომ ვაძარცვდა და ვაიპარა! — სიტყვა მოქალაქემ.

— ამხანაგო, თქვენ სცდებით, — თავს იმართლებდა სიკო, — როგორ შეამტლო მე წუხელი თქვენი ბინის გაძარცვა, როცა დღეს დილით გამოვედი გამსახლიდან, სადაც მე ექვსი თვე ვიჯექი! აი ზომ ხედავ, წვერო ულვაშის გაპარსვა ვერ მომისწოია ჯერ?!

დონკიხოტი.

რომის პაპა და პაპის პაპა — (მუსორლინი)

სამკითხო მუშაობელ მოქალაქეს, რომ ხელით, შევხვეტი და სწავლადან-მელსაც უკაცოდლით მუშაობით თავისი წევლილი შექაქს დღემდე უღელ-სონკალიისტურ მშენებლობებში, ძალიან ცოტა გაფურცლდა დღემდე რომის პაპის შესახებ.

ბევრი რა უნდა სკოლიდან დასაბუ-როცა ეს უკაცოდლი (რომის პაპი) ცხოვრობის მიერ მიღებული იყო სა-ნებზე ყუფილი და მინც და მინც აიაფურს წარმოადგენდა თანამედრო-30 ისტორიის ასპარეზზე.



საიდუმლო თათბირი საბჭოთა კავში-რის წინააღმდეგ.

მეზამ დღეს მთელი საბჭოთა კავ-შირი, ეს დღე-მეფის ერთი მექაქედი პლაპაქაქე რომის პაპზე და ის "გა-იქნო" ჯერ კიდევ მიყრუებულ საბ-ჭოთა სოფლის გლეხებს.

ნახევარი საუკუნეზე მეტია, რაც რომის პაპი, ეს თითქმის მთელი მსო-ფლის მაჯალაჯუნა და ტროანი, ის-ტორიამ გარია და ვატოკანში ჩაქე-ტა.

მსოფლიო ომის შემდეგ, როცა მზომი თავის საბარგებლოდ უკანას-კნელად უნდა შეებოდა კაბიტაულ გა-დამკვეთ საბოლოო ბრძოლაში, რომ-ის პაპი—ეს დაობებული და დახე-სებული ლეშე ისევ წამოიტეხედა ცხოვრების პირობებზე.

მსოფლიოში თავისი შვიკი ზრახვე-მის მზითი, ისევ "ილაღვანი უფლებ-ვაში" რომის პაპი, რომლებსაც მან მი-სკვა იტალიის მსუშების ნაიფლობი 750 მლიონი ფულად და სხვა აუ-



პაპა ორნი არიან, ტოლნი არიან ერთად მღვრიან იმის არიას. მუსოლინი

მან მოიწუნეთა "არმიის" მობილი-ზაცია მოახდინა. არსებობს ევროპაში პაპის ე. წ. "სნის არმია". ეს არმია დაარსებულია ინგლისელ ვილიამს ბუტხის მიერ.

ეს არმია დაარსებულია ინგლისელ ბუტსი დაიბადა ასე წლის წინედ. ის იყო სულთი ავიდემყოფი, აზა-ნორბალური ქუქის, მაგრამ ზედტუ-როსკოული უნაბიით. დაიარსებდა ლონდონისა და სხვა ქალაქების მი-არუბული ადგილებში და, როგორც მამინ ამბობდენ, "მიბიწრობდა": მან მალე აკეცა ლოთებისა, პრისტ-ტუტ-ქებისა და ქუჩის მაწანწალათა ბიზო, რომელსაც ის თავის "მღვრილად" გა-მოაცხადა.

თი, როგორც წარმოიშვა "სნის არ-მია". ბურჟუაზიამ ხელი ვაწყოდა მას, რადგან დაიწყო, რომ "დაქრე-ბის დროს" ის გამოადგებოდა დამ-ხმბერი ძალად.

ამ არმიის "გერეზობა" (უფრო-სობა) მეგვიდრობითი გადადიოდა. ახლანდამ მოკვდა უკანასკნელი "გე-ნერალი" ბუტსის ლინასტიოდან. "სა-ხტზე" ვივინ ახალი ლინასტიის "გე-ნერალი" ელვარიდ ზიგინს, მაგრამ "ბრისნებელი" სულელურ მდგომარე-ობაში აღმოჩნდა, რადგან განმევენ-ბულ "მოთავასარბადალს" საქე "ჩიე-კეპებია" და "გაემსქაქა": არმი, ვაი-ლი ქონება ცოლის უფლებზე-განკარ-გულზედა დეიტოვებია.

ახლანდამ "გენერალი" ყურები ჩამო-ჰყარა, მაგრამ, რა თქმა უნდა, უნებ-სავალი მიინც დიდი აქს "სნის არ-მიას". ცარდა ამისა, ხუმრობა საქე ხომ არ არის 58 საბელმეფეში არ-სებულ 25,000 "ოფიცრთან" 10,000 "კოლბუსთან" არმიის "მოთავასარბ-ლად" ყოფილა?

ეს ცოფი (10,000 "კოლბუსი") თი-თქის დამხმეველებელი ცოფია და,

სნის ანგია




შპიროსა პაპის ჰვიამ, ვიგ ვეჩა ვცვამებ ბრემელი კ:პა.

შანაგებს „ქრისტეს მოადგილე მხემ-ნად“ (იგივე „ბეტრე მოციქულის რჩეუნიკული“) რომის პაპი—ბოუ მე-თერთმეტე.

და, აი, ამ ლეთისნიერმა კაცმა 24 საათი განმავლობაში დაატყვევებდა მუშებს და გაქორციელებული ბიჭები თავის „სანთქაში“ ფარულად, ხალხს თანხმად მუსოლინიან ხელ-შეკრულებას; უფლება არ ჰქონდათ ეტყვიანთ არასანთქაში პირებს, (დღეს კი ლეთისნიერმა პაპმა ნიანგის ცოცხლებს ავოქშიეს საბჭოთა კავში-რიდან განდევნილ კონტრ-რევოლუ-ციონერთა „სასარგებლოდ“).


დაბა, ასე ძვირი დაუჯდა მუსო-ლინი, რომის პაპზე, „დაქორწინება“, მაგრამ ამ „შეუღლებიდან“ სასიძო-რეტს სარგებლობს მოგლის, ვიდრე მს მს დაუჯდა. ფამისტურ იტალიე-თის პრეტორი აიწია და ვერორიტე-რუც გადიდა.



ბიჩაშა და მათიკანი.

— „თუ ფული ტრიალი არ არის, მკვდარია!“—ასე მსჯელობს რომის პაპი და ხელს ურევს ფულების ტომ-სებში.

და პაპმა თავისი სპეკულიანტ-ფი-ნანსიტები გამოუშვა ბიოგაზე. დობა, ეს იმ „ქრისტეს მოადგილეა“, რომელმაც პაპის მოადგილისა და მი-ნული იმნი“ გამოეცხადებია. ამისთვის



ქრისტიანობის გასაშვილებლად დიძიკა მოკრფუნეთუბაკიბია.

მოქალაქეს კიდევ შეეშინდეს პი. ი. ხ. — იას ვახლენა ჩემი წითელი არ-მა ამოდენა გჯაროიან, თუ რომი პაპამ „გჯაროსული იმნი“ გამოაცხადა?

და, მართლაც, როგორც ფაფურო-ბენ და ინდურებივით იბერკიან, ისეთ სიძლიერს რომ წარავალდგინეს „ხნის არმა“—პაპის არმა, საბჭოე-ბის წინააღმდეგ „გჯაროსნული იმნი“ ამდენხანს მოხდებოდა.


მაგრამ ეს არის ნაყარ-ნაყარია, გა-რეწარია და კრეტივებთა არმა, რომ-მელსაც წითელი არმიის ხსენებაზე (ქიბ-ცხელეების ცახტები უფაილენა ტანში).

გარდა ამისა მთი ყიყინა და ზარე-ბის რუკის ჩრდილურს მთელი ქვეყნის პოლიტეხიკის ძლიერგამოსილი ყი-ყინა:

„ხელეები შორს საბჭოთა კავშირი-სავან“!

„იძის პაპის ავანტიურა“!

„გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუ-ციას“!



და ასე ნებაყოფლობით მიადამინეს ხალხს ქრისტეს სარ ვაუნომა.

„პა-პა-პა-პა“

მღვდლის ფიქრები



შენი ცდა და ზრახვა ფუტია, ამაო. ჩვენ ვიცით ასეთი მოკერა, მამაო.

ეს რა ესმის ამ ჩვენს ყურებს, ვადვირით პა-პა-პა-პა, თურმე ჭკვაში შერტყილა ეწმინდეს რომის პაპა. აოცა თვისი მან სამრევლო კადასანლა, გადაყლაპა, ჯვაროსნულად გალაშქრებას თურმე ფიქრობს ჩვენი პაპა. ეჰ, ვინ იცის — საბჭოეთი მას გონია ცივი ფაფა. ფებს მოიტებს უსათუოთ გაბერილი რომის პაპა. იქნებ ბევრი ნებფიქრობი მოემატა მას ქონია და მეოცე საუკუნე მეთორმეტე-ლა ჰგონია! დმერთო, დმერთო, შენ გვიშვედე, მოგვაშორე ცოდვის თაფა, თურმე მდიდრებს უყიდათ დოლარებად რომის პაპა. ეს რა ესმის ამ ჩვენს ყურებს, ვახ, სირცხვილო... პა-პა-პა-პა. ვაი, როგორ შერყეულა ჭკუისაგან რომის პაპა?! კუღიანი მღვდელი.

სუფთა ფურცლები

ორი ახალგაზრდა პოეტი უკმაყოფილოთ ბუნუნობდა გამომცემლობა „სრომის“-ს შესავლოთან.

— ყველა ერთსა და იმავეს იმეორებ: ლექსები კარგია, მაგრამ ქალღელი არა გვაქვსო....

— საკვირველია სწორედ ამ გამომცემლობის საქმე-დაუმატა მეორემ, — აქ მთელ ლამეებს ათეხებ, რითმებს დიოგენის ფარნით. დაეძებ კედლები შეთერთებულია ფერადოვან ლექსებით, მთელი უცხო-სიტყვითა ლექსიკონი უკვე გალექსილია და ამ ბუმბუგაზულ შრომის შედეგი ჯიბით უნდა ატარო.

— დალახეროს ეშმაკმა, კაცს ლექსების წერა შეგეძლოს და წიგნს ვერ ბეჭდავდე?!

ერთი ახალგაზრდა კიდევ მიემატა მათ. იგი მხიარულათ მოაფრიალებდა თეთრ ყდიან წიგნაკს.

— დაგიბეჭდეს?

— უკვე გამოვიდა გასაყიდათ. ნახეთ!

უკმაყოფილო პოეტები ათროლებული თითებით ფურცლავდენ ახალ წიგნს.

ლექსების კრებული ლამაზათ იყო გამოცემული. თეთრი ყდა გახვეული იყო სპეციალურად დაბეჭდილ ფერად საყდრში. პირველი ფურცელი სრულიად ცარიელი იყო. მეორე ფურცელზე ერთი სიტყვა (ავტორის გვარი).. მესამე ფურცელი ისევ ცარიელი. მეოთხეზე წიგნის სახელწოდება, მეხუ-

თხე — რომაული დიდი ციფრი „I“. მეექვსე ფურცლიდან კი იწყებოდა თვით ლექსები, — ყოველ გვერდზე ორი-სამი ტაქტი იყო მოთავსებული, მთელი წიგნი კი 50 გვერდზე იყო გაჭიმული.

ლექსების დასასრულსაც ბლომათ იყო ცარიელი გვერდები.

პოეტმა, რომელსაც ლექსები არ დაუბეჭდეს, ირონიულათ გაიღიმა:

— ამ წიგნში ცარიელი ქალღელი უფრო მეტია, ვიდრე ნაბეჭდი, ფასი კი 50 კაპ. — მეტად დიდია.

— აქ ლექსების დაბეჭდვაზე უარს ამბობენ, ქალღელი არ გვაქვს — დაუმატა მეორემ, ხოლო მეორე ადგილზე ხუთ ლექსს ორას გვერდზე სჭიმვენ და აქედან 15—20 გვერდი სავსებით ცარიელია: ეს არის ქალღელის მომჭირნეობა?

— ჯერ ერთი თქვენ არაფერი გაგებთათ ესთეთიკის. სუფთა ფურცლები და თითო გვერდზე ორ-ორი სტრიქონი, ეს უდიდესი ესთეთიკაა. მეორე, მარტო ჩემი წიგნი არ დაბეჭდილა ასე. სხვებისაც ასე იბეჭდება. ჯერ ის რა ღირს, რომ ჩემს წიგნს გამოცემის წელიწადი ასე აწერიან:

MCM XIX
რას ნიშნავს ეს?

— ეს ნიშნავს 1929 წელს, რომაული ციფრით! — სიამაყით სთქვა „ესთეთიურად“ გამომცემულ წიგნის ავტორმა.

ზრი — ზრი.

გამოცანები

(ღუშეთისათვის)

ის ვინ არის, ვინც რომ გლენებს მოუკონა დიდი ხრიკი. სახდაზღვევის ფული ყლაპა, ხალხს გააძრო კულის რიკი. ეინვალიდან გამოაგდეს, და ტფილისში ჩაესვენა; ხუთმეტ თუმნიან ადგილზედ იქვე ტკბილად მოისვენა?

—
მეორეა პოლკოვნიკი, დროზე ჩინი აიყრა.

მოკალათა ახალმენში, მან უსაქმოდ არ იარა.

კბილი გაჭკრა იქ სიმსუქნეს, ყველას მუშტებს უღერებდა,

რომ დროზე არ წასულაიყო, წმენდა ნანას უმღეროდა..

გვერდით უდგა ხელქვეითი, ფულში ხელი აურია,

შაქარ-პრინჯი გააწყალა, რძეში წყალი გაურია.

ის ვინ არის ვაჭრებმა, რომ თავის მეფედ აღიარეს;

ხელს უწყობს და ეხმარება, (მას რომც კითხოთ არც ივარებს).

—
აქ სხვაც ბევრი ფახი-ფუხობს ყველგან ხელებს აფათურებს,

ტარტაროზჯან კარგს იზამდი თუ აუწყვდ ამათ ყურებს,

ტარ-ფინ.

თავდასხმა ტრამვაის სამმართველოზე



ლიანდაგზე ხდვას „ტაჩკა“
და წაქცეული ვირი,
მან განუტევა სული,
წაიღო თქვენი ქიარი.
როგორც ექსპრესი შორით
შოშქრის ვაგონი ჩქარა,
ზედ სთვლემს ვატმანი მთვრალი.
ის ტკბილ სიზმარში არი...
და შიაქროლებს ვით ქარს
ვაგონს ვატმანი მთვრალი,
ვაი საწყალი „ტაჩკა“,
ვაი მგზავრების ბრალი!...




ტრამვაის ბულატურაის
გვაში ამშვენებს ორია,
ერთი ტმრ-ოზანშოვი
თავსედი პროტექტორია,
გვერდს უწის მისი დისწული
მიქიტუშოვი გვარადა,
ორივე კერძო „ფოდრაჩის“
ამოსდგომია ფარადა,
და საფასური ფოდრაჩის
უძლევს ორჯერ მეტია,
ორივე სამმართველოდან
გასაღერ — ვახაყეთია.



მეშვიდე ნომერს რონოდას,
ველოდით. დაკარგულიყო,
მწარეთ მოვსთქვამდით მგზავრები:
„სად დაგვეკარგე სულიყო!
შენს ლოდინში ვართ მთელი დღე,
გამოგვერია ქალარა,
შენს მოვლინებას სადგურზე,
სჩანს მოვესწრებით აღარა“...
ახე მოვსთქვამდით მწარეთა
მგზავრები დაჩარგულები,
და სამმართველოს ტრამვაის
წყველიდენ ჩვენი გულები.



ჭუბინშასა, — სადგურის
უფროსს — ვინაც ნახავს,
(ეს მისთანა უფროსი
„ტარტაროზის“ ხახას!).
ვაიგონებს: „ავად ვარ:
მტკიცა, მეწვის გულიო, —
სესხზე ხელსა რად აწერთ? —
„პრაპალ“ თქვენი ფულიო“.
მის „სიბრძნეს“ რომ მოიხშენს.
მკითხველს შეებრალდება,
მოუხდება აღბად მას
თვითონ „გაპრაპალდება“.



თუ ვისმეს გინდათ რომ დავხაყონ,
როგორც „ბიტკი“, როგორც „კა-
ტლეთი“,
ისწავლით ფრენა, მარდათ ხტომა,
ვახდეთ ატლეთი, —
ან სირენას ხმით, რომ იმდეროთ
„ეუი და ვიი“
ავტრულდებათ, თუ იმგზავრებთ
ერთხელ ტრამვაით.




კომპარტიაში რა უნდა
ილინას ტატიანასა, —
პოლიციელს ცოლსა და
უოფლიო ხალხის დამასა?

საიანოვი სუსანა

აქ ფულის მიმღებათ არის,
მისთანას შემოვიყვირებს
სულ დაგებნევა დავთარი.
მუშებს ექცევა უხეშად,
ფიცხია, მიუკარები.
წარმოებაში „კალბატონს“
უნ დაუხშოთ კარები.



სპარგინიკო, დღეს მოლარე,
მოხელეა ძველი,
გუბერნატორის ყული, — შონა
და იმისი მცველი.



„ახ რა ცული დრო დადგა,
პრაპალა ჩვენი ვრემია!“
ფიქრობს არუთინოვი
სახელად ერემია.
თადეოვიჩი ბანს აძლევს,
ორივე დაშნაკებია,
ხატინოვის ერთგულნი
წარმოების მტრებია.



რიში, რადგან გორში დიდ-პატარას სუყველას აქვს მისი შიში. მოთხოვნაზე გაიკვირებს:—ხა-ხა-ხა-ხა... შეხეთ ამას!... სასაილოს განვაგებდი დავეჩეიე მუქთად ქამას.
ს. მელია.

„პო აზიკაჲ“

პიათურა (ხავათყოფო). ამას წინედ გარდაიცვალა ავათყოფი ორი; და რადგანაც გასაველი გზა მათ ჰქონდათ შორი, გაამზადეს კუბოში და გაუგზავნეს მშობ-ბლებსა, ქვრივებსა და ობლებს. მთელ ორ სოფელს აყრუებდა ტირილი და მოთქმა. და წაილო სამწუხაროდ კუბო კაცმა ოთხმა. პირდაღებულ საფლავის წინ მკვდარს ეხვევა დედა... და, ჰა, უტბად წამოვარდა, გულზე ეცა ელდა. დაიყვია:—ეს სხვა არის, არა—ჩემი შვილი!—შეწყდა ტრემლი, თმების წეწვა, მოთქმა და ტირილი.

და ასეთი საქმე მოხდა იქაც, მეორესთან. გამოიქცენ და მივარდენ ისინი გამგესთან. უპასუხეს:—„პო აზიკაჲ“ შეგვეცვლია ჩვენ ღამით. გა-უცვალეთ ერთმანეთს და ქვით იქნებით ამით!

ორი.

ს. შვიგომოქმედი (გურია) არსებობდა აქ გლეხ-კომი. ბევრი ჰქონდა ხარჩო, ღომი. იპოლიტემ ხარბად სქამა, (კატლეტები მას ეამა). ამ საქმეში მას შეველიდენ ნიკოლოზი და თან სერგო. (და ალაპი სასაილოს აქ მათ გარდა სხვებსაც ერგო). და გაკოტრდა ეს გლეხკომი, აღარ ჰქონდა ხარჩო, ღომი. მოკლე ხანში სასაილოს უგალო-ბეს „სულთათანა“ და შემდეგ კი თვით გლეხკომიც დაე-ღვენა უკან თანა.

„ნ ა ც ნ ო ბ ი“



გ მ რ ა

„აცხონოს ღმერთმა“

მ. გუარჯაბანი. სასამართლოს კედლ-გაზეთი ბევრის იყო აქ „გამზეთი“. სახელად ჰქვიადა მას „ჩვენი ავ-კარ-გი“. საქმისთვის იყო ის მეტად მარგი, მაგრამ ბევრისთვის — „ზედმეტი ბარგი“. რედკოლეგიამ მახე დაუგო და წე-სიც აღუგო: „ყოფნა, არ ყოფნა არის სულ ერთი, საიქიოში გაცხონებს ღმერთი“.

მომართვა № 10178

ოზურგეთი. (ტროპიკული საღაგური). გამგეებს და თანაშემწეთ მოღვატეს ჯამაგირი. დაბალ მოსამსახურეებს ხელში დარჩათ მხოლოდ ჩირი. ეს გამგეო, თანაშემწე, მოა-დგილე და სხვა „გმირი“. დარაჯებს და შიკრიკებს კი სხვა ცუქი აქვთ და სხვა პირი.

მუშათი-ქლაპია

გორი. ჩვენი გრიშა მურადოვა ჩამოუვლის რეს-ტორანებს. გამოძღვება, გამოთვრება და შემდეგ კი იყა-ყანებს. მას ვერ მოსთხოვს აქ ვერაინ გასწოროს ანგა-

— წავიდეთ, კოოპერატივში შალეულობა მიუღიათ!
— კი, მაგრამ დღეს ჩვენი ნაცნობი ნოქარი არ იქნება კოოპერატივში,



სმა ქამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია,
რასაც შევსქამთ ჩვენია, რაც არა—დაკარგულია.

ხ მ ა ნ ი მ ლ ა ლ ა დ ე ბ ე ლ თ ა ნ ი

რომი. კათოლიკეთა დიდი ტაძარი.
 დღეს იქ დიდი ფუსფუსია. სწირავს თვით პაპოჩკა (იგულისხმეთ რომის პაპა), რომელსაც თავის შეფს უნდა შეევედროს ბოლშევიკთა დალუპვის და ჩვენი ქარხნების დაზარეუვას, სადაც მდიდარი ხალხის სულის შემხუთველი სავენები მზადდებდა.
წირვა იწყება.
პაპი: — ბოლშევიკთა მოსპობისათვის, საბჭოთა ხელისუფლების განადგურებისათვის, კომინტერნის დარღვევისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ!
ფაშისტები, სოც.-ფაშისტები, იმპერიალისტ.მონარქისტ ოპორტუნისტები:—ა-ა-მინ!
 — რათა მოსრნას უფალმან ღმერთმან ჩვენმან კომუნისტი ყოველი შეჩვენებული-ი!
იგივენი:—მოგვმადლე უფალო-ო-ო.
და სხ.
ლონდონი. უდიდესი საკრებულო.
 წირვას იწყებს კენტრბერიის არქიეპისკოპოსი.
არქიეპისკოპოსი:—პროლეტარიატის დიქტატურის დასამარებისათვის, რუსეთიდან ჩვენი ძველი ვალების აღებისათვის, მონარქისტული წესწყობილების აღდგენისათვის უფლისა მიმართ ვილოცო-ო-ო.
იგინივენი, ვინც რომში, კონსერვატორების და მაკ-ლონალდის მთავრობის დართვით:—უფალო შეისმინე-ე-ე.
და სხ..
ნიუ-იორკი. სინავოვა.

ლოცულობს რაბინი: რაბინთაი.
რავენი: — წითლების ბატონობის დამზობისათვის საწარმოო-საფინანსო გეგმების ჩაშლისათვის ხუთწულის არ შესრულებისათვის და სხ. ამისთანეებისათვის იელოვოსა ჩვენსა შევედრო-ო-ოთ.
იგივენი, ჰუფერის და მისთა მშათა დართვით: — იელოვავ შეისმინე-ე-ე.
და სხ.
პარიზი. უდიდესი ტაძარი.
არქიეპისკოპოსი: — ინტერვენციის წარმატებით მოწყობისათვის, ომის სასურველად მომზადებისათვის, ბოლშევიკთა დამარცხებისათვის სულითა და წრფელითა ვილოცოთ!
იმავე კატეგორიის ხალხი: უფალო შეგვიწყალებ-ე-ე!
და სხ.
ბერლინი: საკრებულო უდიდესი.
პასტორ-პატერები: — რუსეთთან მეგობრული (რა-პალოს) ხელშეკრულების დარღვევისათვის, ანტანტის მხარეზე გერმანიის საბოლოო გადაბირებისათვის, იუნგის გეგმის გატარებისათვის და საბჭოთა კავშირის რაც შეიძლება ადრე დანგრევისათვის...
იგივე ხალხი: — —ამინ...
და სხ.
 ისწავლიან დედოფლები კითხვას თუ არა, ანუ ისმენენ ზეცის „კვარტირანტები“ ამ საცოდავების ვედრებას თუ არა?
ალლარ-საღლაკსან

მართლმადიდებელთა და კათოლიკეებს ხშირად მოხლდით ერთმანეთში დავა ქრისტეს მოძღვრების ვაგუნას შესახებ.

„პ რ ი ზ ი“

დაიწყო ერწოს ყოფილ „თავიკულის“ წევრთა შემოწმება, რომლებსაც ერთმანეთი „შეჯიბრში“ ჰყავდათ გამოწვეული ფულების გაფლანგვაში.

როგორც ირკვევა, პირველ „ჯილდოს“ მიიღებს ყოფილი თემსაბჭოს თავმჯდომარე — გელაშვილი, რომელსაც 4000 მანეთი „შემოეჭამა“.

მეორე ადვილს დაიჭირეს ყოფ. თემკომის მდივანი — არტემ თუშური, რომელმაც „თავის საჭიროებისათვის“ მოიხმარა 8000 მანეთი სახელმწიფო ფული.

შესამე ადვილს დაიჭირენ: ყოფ. ეპოს თავმჯდომარე — ფარნა წიკლაური, წითელი სასადილოს ყოფ. გამგე — „პურიჭამიშვილი“ დავითი და ყოფილი ერწო-თიანეთის ადმინისტრაციის თოროსი — ბუწუნკალური, რომლებსაც „შემოეხარჯათ“ 600 მანეთამდე. „შეჯიბრი“-ს შედეგებს კომისია ამ დღეებში გამოაქვეყნებს, რასაც ხალხი მოუთმენლად ელის. შევარდენი.



წაიჩხუბენ: პატრი, მღვდელი, მკრისტეს სტაგენს ვჰვირჷი ხელი.

ქუთაისი


ნეტები ნატვრა მომცა მე, ეს ნატვრა ამიხდებოდეს. კომუნალ განყოფილება თავის საქმესა ზედმოადეს. დამწვარი სახლის წანგრევი ხალხს თავში არ ეყრებოდეს. სინამდვილით მოკულ ქუჩები ერთბაშად გახათდებოდეს. პატარა წვიმის დროსაც კი ტალახი არა დგებოდეს. უოფელგან სასადილოში ესეც კი მოიშლებოდეს: დილით მოთხოვნილ საუზმე სადილით არ იქცეოდეს; შემოსულ მოქალაქისთვის სკამიც კი იზოვებოდეს, საპარიკმახტრა პირველში სინათლე აღარ ჰრებოდეს;

მუშტარნი ვატყებულნი სიმწრისგან აღარ კედებოდეს. და საბინძურე ჩვეული დღეიდან მოიშლებოდეს.

აქაურ გლებთა სახლში ღამეც კი ვაითეოდეს. წავიდეთ ეგრე სლფთათა, კქნარი არ გვეტოდეს. **პრინინა.**




— პაპა, შენ აკი დამპირდი, რომ..
— ჩუმად! პაპა არ დამიძახო აწი, თორემ..



ვჰვაროსნული ნაბიჯი ახალ ომისაკენ

ო ზ უ რ გ ე თ ი

„გლავებუნი“ ქარხნის ბიჭი თოიძი იჯდა მაგიდასთან დაფიქრებული! აქტივს და პასივს სულ აუშალა უთაო თავი—უგულო გული. მაშინ ფიქრობდა: ღმერთო მალალო, როდის განვმორდებ ამ ოხერ ციფრებს! სასაიდლოში უდენტი ფიქრობს, მე კი აქ ვზივარ (ო, გული მიცემს) ამ დროს ქუჩაში ლამაზი ეესტით ქალისა კაბამ გაიშრილა! უცებ წამოხტა. თავბრუ დაეხსა და აგონიამ გაატიალა. წუთმა წაილო ფიქრების გროვა—გზად გამოუდგა ქალსა



კაბიანს!—ქარხნისა გამგემ ძლივსლა იპოვა, დღეს ის თვის სტოლთან ზაწრით აბია...

ჭაგნელი ბიჭი.

თანამედროვე ანდაზები 15

- ავი გამგე წმენდის დროსაც ავიაო.
- პროტექციამ რა ნახაო, და უმუშევრობა ნახაო.
- კარგი მომუშავე დირექტორი საყვედურს არ მიიღებს.
- პროტექციით ნაშოვნი სამსახური წმენდის დროს გამოჩნდებაო.
- დღევანდელი დარაჯობა შირჩენია ხეაღინდელი ინსტრუქტორობასო.
- ლოთი — ლოთს აეკიდა, სახლამდე მიმიყვანო.
- ხაში სამუშაო ადგილი ცხრა თავადმა გაიყო.
- მოლარემ სთქვა: ვისაც რა დაეკელი, ყველა წამ-მწარდაო.
- წარმოებაში რამოდენიმე მუშის შრომა საკვარ-ტალო გეგმას ვერ შეასრულებს.

ფულად ბოროტობა

ფული ბოროტობა, ვინ მოგინბო ჩემდა წინამძღვრად. ხემა ქონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთად?! მარჯვი რა უყავ, სად წარვიდე შექმული თანხა, რომელიც ეხლა კომისიამ ძლივს მიმინახა? ფულბთან ყოფნა სამსახურში ყოფილა გლახა. მაგრამ დამხსნა კომისია მეტად ცხოველი, გამოძიების დაწვრილებით საქმე ყოველი, — და შემამწყვდიეს აქ ციხეში... დაჰკეტეს კარი, არაეინ მოდის, —არ მნახაოობს... სულში ჰქრის ქარი...
დ. ლეჩუბელი.



მ. გაიანესუვილს (ქუთაისი) ვბეუდავთ თქვენს ლექსიდან ამ ადგილს, სადაც ახალი ცხოველის აღმოჩენაა: „**უჩიტლად! გლვდლებია შოფილი ჯპრინანი.. ძალაჭი კროსხაბი, ღორმეი რძინანი.** ერთი რძინანი ღორი მაინც გამო უგზავნე ტფილისის ზოლოლოგიურ პარკს!

ნოპოსპირმლს (ფოთი). რას ამბობთ, კაცო?! თუ ეს ლექსი თქვენი პირველი ლექსია, პირდაპირ გენია ყოფილხართ:

ლექსის წერა დავაპირე და კალმები სულ მღვავირე. მომიფრინდა უცბად მუზა და გვერდებში მაგრად მდრუზა.

უცხოუნდა მამის სული, ძალიან კარგად უქნია.

ნიორწყალს (დუშეთი) ამ თქვენს პირველს წერილში წყალი მეტია, ნიორი კი ნაკლები; ამიერიდან ეცადეთ წყალი ნაკლები (კოტა) იყოს, ხოლო ნიორი (სკაზბია მარილი) მეტი. (ასეთია ხატარტაროზო უბრალო კულინარობა. იხ. ამავე ნომერში „ნახატი თქვენი თეატრის შესახებ“.

ამრიკოს (აქვე) კიდევ კარგი, რომ შუა გზაზე ჩამოხტარხართ, თორემ თავისუფლების მოედანზე რომ გაჰყოლოდით ვაგონს, თქვენი „სამგზავრო შთაბეჭდილება“ არც უფსკერო გოლორში ჩაეტევიდა.

შპრდულს (ოფთი ქუთ. ოლქი) აღმასკომის შესახებ იწერებით, რომ—არავინ არაფერს აკეთებს და: ამის გამო, ტარტაროზო, ვფიცავ ჩვენს მღვდელს ქრისტეფორეს, ბინა ჩვენი აღმასკომის მოგვაგონებს დიდ ხალორეს. ჩვენ ექვი შეგვდის ამ ამბის სიმართლეში, რადგან ამის დასადასტურებლად მღვდელს ჰფიცავთ.

ს. ბელას (გარი) წითელ სასაიდლოს „პოვრების“ შესახებ გვეწერთ, რომ:

ერთი მიტროპალიტა ჰვავს, წვერი უგავს რომის პაპას. რომ უუფრო განცვიფრდები. საიღმზე რომ იწყებს ულაპავს.

ულაპავაში შეიძლება მართლაც ჰკავდეს რომის პაპას, მაგრამ რაც შეეხება წვერის ამბავს, უნდა გითხრათ, რომ რომის პაპას წვერ-ულევაში სრულებით არა აქვს მსახიობივით გაპარსულია. (იხ. „ტარტაროზის“ ამ ნომერში მისი სურათები).

ნადირ-ოღლის (სამტრედია) უკომენტაროთ დავიწყეთ:

ისე შემეყვარდა ჩვენი ათწლეული, ვით თამრიკოს კოცნა და კოხტა მედია რის ვუცქერ „პონჩიკებს“ მოკლე კაბიანებსა, ქალწულებსა ვიყვებ მსხვილ ფეხიანებსა, — მაშინ ნდომის ნერწყვი უელში მიჩერდება, აღარ მშველის თხოვნა, აღარც შევედრება.

აი, ამ თქვენს შემოქმედებას ლევანსიმ ქვეშ ასეთი წარწერა გაუკეთა თქვენს საპასუხით:

ვაი, თქვენი ბრალი, გეკიდებათ ალი. იწვით თქვენ საწყალი, გადაისხით წყალი. თავს გიხვევათ რეტი, ხართ ნამდვილი ცეტი. ხხნა არ არის მეტი —უნდა დაგცოხონ კეტი.

შანსის (სუფსა-ჩონჩხათი). განა კაცი იმისთვის უნდა გაიწმინდოს, რომ:

თავზე უოკე ახურავს ტანზე პალტო აცვია?!

ამის მეტი ბრალდება თქვენს წერილში არ არის მის შესახებ; ხოლო ეს კი—ბრალდებათ არ ჩაეთვლება.

ჯეანი ჯეანს

№ 345
1930

ბიბლიოთეკის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гривашвили
ქართული საბჭოთაო
რესპუბლიკის
საბჭოთა მეცნიერებათა
აკადემიის



რედაქ.: სარ. კოლეგია; გაზ. „მუშა“ გამოცემა; საქ. პ.-ტრ. 5-თე სტამბა; მთავლ. № 1319